მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

#### სასესხო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც გაწეული იქნა.

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

| ვადაგადაცილების დღეები       | < 30 დღე | 31 – 90 დღე | 91-180 დღე | > 181 დღე |
|------------------------------|----------|-------------|------------|-----------|
| ვადაგადაცილების პროცენტულობა | 0%       | 5%          | 25%        | 100%      |

#### სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებული ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## **შემოსავლის და ხარჯის აღიარება**

### **(ა) შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან**

როდესაც შესაძლებელია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ამონაგებსა და დანახარჯებს აღიარებს, როგორც ამონაგები და ხარჯი, შესაბამისად, სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ამ მეთოდს ხშირად უწოდებენ პროცენტული შესრულების მეთოდს). კომპანია სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის შეფასებას საიმედოს უწოდებს, როდესაც შესაძლებელია სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება.

პროცენტული შესრულების მეთოდი გამოიყენება სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების აღიარებისთვის. კომპანია ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, პერიოდულად გადახედავს და, თუ აუცილებელია, ცვლის ამონაგებისა და დანახარჯების შეფასებებს, მომსახურების გაწევის ოპერაციების, ან სამშენებლო ხელშეკრულებების სამუშაოების შესრულების მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით.

კომპანია ოპერაციის ან ხელშეკრულების შესრულების სტადიას განსაზღვრავს ისეთი მეთოდით, რომლის მეშვეობით ყველაზე საიმედოდ შეფასდება შესრულებული სამუშაოს მოცულობა, კერძოდ შესრულებული სამუშაოების გამოკვლევის მეთოდით.

დამკვეთებისგან მიღებული ეტაპობრივად გადახდილი თანხები ან ავანსები, ხშირ შემთხვევაში, არ ასახავს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას.

კომპანია აქტივად აღიარებს მომავალში ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებული დანახარჯებს, როგორცაა, მაგალითად მასალებზე დანახარჯი, ან გადახდილი ავანსი, თუ მოსალოდნელია, რომ აღნიშნული დანახარჯი მთლიანად ანაზღაურდება.

კომპანია მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებს ნებისმიერი დანახარჯს, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელი არ არის.

თუ შეუძლებელია ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შეფასება, მაშინ:

(ა) კომპანია აღიარებს მხოლოდ ამონაგების ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია იმ სახელშეკრულებო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და

(ბ) სახელშეკრულებო დანახარჯები ხარჯად აღიარებს იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გაწევა.

თუ მოსალოდნელია, რომ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთლიანი სახელშეკრულებო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან სახელშეკრულებო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯის სახით და, ამავე დროს, იქმნება შესაბამისი ანარიცხი წაგებიან ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

თუ მოსალოდნელი აღარ არის იმ თანხის ამოღება, რომელიც კომპანიას უკვე აღიარებული აქვს როგორც სახელშეკრულებო ამონაგები, კომპანია ამგვარ თანხას აღიარებს მიმდინარე პერიოდის ხარჯად და არა როგორც სახელშეკრულებო ამონაგების კორექტირებად.

### **(ბ) შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან**

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

#### **(გ) შემოსავალი მომსახურების გაწვიდან**

როდესაც ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ზოგჯერ ამ მეთოდს უწოდებენ პროცენტული შესრულების მეთოდს).

მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

#### **(დ) საოპერაციო ხარჯები**

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება.

#### **იჯარები**

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მეიჯარიდან მოიჯარესთვის. საიჯარო გადასახდელები აღიარდება პერიოდის ხარჯად წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

#### **ფინანსური იჯარა - მოიჯარე**

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთი იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენებულ უნდა იქნეს მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

მოიჯარემ მინიმალური საიჯარო გადასახდელები უნდა გაანაწილოს დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოიჯარემ იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში ფინანსური ხარჯები თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ისე უნდა გაანაწილოს, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

ფინანსური იჯარის პირობით აღებულ აქტივს მოიჯარემ ცვეთა უნდა დაარიცხოს მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

### **საოპერაციო იჯარა - მეიჯარე**

ჩვეულებრივი იჯარის დროს მეიჯარეებმა საიჯარო აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა წარადგინონ აქტივის ბუნების შესაბამისად.

ჩვეულებრივი იჯარის დროს, მეიჯარემ საიჯარო შემოსავალი უნდა აღიაროს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექნომსახურება) მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც

(ა) სხვა სისტემატური მეთოდი უფრო ადეკვატურად ასახავს მომხმარებლის მიერ სარგებლის მიღების პერიოდულობას/ გრაფიკს, თუნდაც საიჯარო გადასახდელების გადახდა არ ეფუძნებოდეს ამავე გრაფიკს; ან

(ბ) მეიჯარისთვის გადასახდელი თანხები სტრუქტურულიზებულია იმგვარად, რომ უნდა გაიზარდოს მოსალოდნელი საერთო ინფლაციის დონის შესაბამისად (გამოქვეყნებული ინდექსების ან სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად), რათა მეიჯარეს აუნაზღაურდეს ინფლაციის შედეგად მოსალოდნელი დანახარჯების გაზრდა.

თუ მეიჯარისთვის გადასახდელი თანხები იცვლება საერთო ინფლაციის გარდა რომელიმე სხვა ფაქტორის მიხედვით, მაშინ (ბ) პირობა დაკმაყოფილებულად არ მიიჩნევა.

მეიჯარემ ხარჯის სახით უნდა აღიაროს საიჯარო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები, მათ შორის, ცვეთა. იჯარით გაცემული აქტივებისთვის გამოყენებული ცვეთის პოლიტიკა იდენტური უნდა იყოს სხვა ანალოგიური აქტივებისთვის გამოყენებული ჩვეულებრივი ცვეთის პოლიტიკის.

მეიჯარემ საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებას უნდა დაუმატოს ჩვეულებრივი იჯარის პირობების მოლაპარაკებასა და ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით გაწეული პირდაპირი დანახარჯები და ამგვარი დანახარჯები აღიაროს ხარჯად იჯარის მთელი ვადის განმავლობაში იმავე მეთოდით, რომელსაც იყენებს საიჯარო შემოსავლისთვის.

### **ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### **ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

კომპანიას სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი

შპს „იბოლია“  
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების მოგება-ზარალის ნაწილში.

| სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:   | აშშ დოლარი | ევრო   |
|---------------------------------------|------------|--------|
| გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს | 2.8068     | 2.9306 |
| გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს | 2.6894     | 2.9753 |

### მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

### საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება კომპანიას დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივებზე, მოხმარებული ნაწილის ღირებულების შემცირებით, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. შენობებზე გამოიყენება წლიური 5%-იანი ცვეთის განაკვეთი, სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანა-დანადგარებზე - წლიური 8%-დან 20%-მდე, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე - წლიური 20%-იანი განაკვეთი.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის მასშტაბი.

### არამატერიალური აქტივები

ორგანიზაციის არამატერიალურ აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს.

შეძენილ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიებს ერიცხება ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის გამოყენების მეთოდით წლიური 4% - 20%-ის ოდენობით.

### მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების

ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა.

#### 4. მნიშვნელოვანი შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტს მოითხოვს დასკვნების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში მოხსენებულ თანხებზე. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის შეფასებებსა და შეფასებებს აქტივებთან, ვალდებულებებთან, პირობით ვალდებულებებთან, შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებით. მენეჯმენტი თავის განსჯებს, შეფასებებსა და დაშვებებს ემყარება ისტორიულ გამოცდილებაზე და სხვა სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრულია მოცემულ ვითარებაში. შედეგად მიღებული საადრიცხვო შეფასებები და შეფასებები იშვიათად უდრის შესაბამის ფაქტობრივ შედეგებს.

**შემოსავალი მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან, რომლებიც მოიცავს საქონლის გაყიდვას.** კლიენტებისთვის საქონლის ან მომსახურების გაყიდვასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარებისას, კომპანიის შესრულების ძირითად ვალდებულებად ითვლება კლიენტისთვის საქონლის მიწოდების წერტილი, რადგან ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელი იღებს კონტროლს. დაპირებული საქონლისგან.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების რეზერვი მოითხოვს შეფასების და განსჯის ხარისხს. იგი ეფუძნება სიცოცხლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით და აკეთებს ვარაუდებს თითოეული ჯგუფისთვის საერთო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთის გამოყოფისთვის. ეს ვარაუდები მოიცავს გაყიდვების ბოლო გამოცდილებას და ისტორიული შეგროვების მაჩვენებლებს.

**მარაგების გაუფასურების რეზერვი** სასაქონლო მარაგების გაუფასურების დებულება მოითხოვს გარკვეულ შეფასებას და შეფასებას. რეზერვის დონე ფასდება გაყიდვების ბოლო გამოცდილების, მარაგების დაძველებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მარაგის ფასზე.

**აქტივების სასარგებლო ვადის შეფასება.** კომპანია განსაზღვრავს სავარაუდო სასარგებლო სიცოცხლეს და მათთან დაკავშირებული ამორტიზაციის და ამორტიზაციის ხარჯებს მისი ძირითადი საშუალებებისა და სასრული ვადის არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო სიცოცხლე შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან სხვა მოვლენის შედეგად. ცვლისა და ამორტიზაციის ხარჯი გაიზრდება იქ, სადაც სასარგებლო ვადა ნაკლებია ადრე შეფასებულ სიცოცხლეზე.

#### 5. შემოსავლები, გაწეული მომსახურების და რეალიზირებული პროდუქციის თვითღირებულება

|                                                    | 2024                | 2023                |
|----------------------------------------------------|---------------------|---------------------|
| შემოსავალი მომსახურებიდან                          | 4,703,973           | 4,202,382           |
| შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან               | 10,944,657          | 15,874,774          |
| შემოსავალი მასალების რეალიზაციიდან                 | 1,310,513           | 1,910,871           |
| <b>სულ შემოსავალი</b>                              | <b>16,959,143</b>   | <b>21,988,027</b>   |
| მომსახურებაზე გაწეული ხარჯები                      | (3,038,184)         | (3,480,197)         |
| სამშენებლო კონტრაქტებზე გაწეული ხარჯები            | (10,175,163)        | (13,722,828)        |
| რეალიზებული მასალების თვითღირებულება               | (870,361)           | (1,392,961)         |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**</b> | <b>(14,083,708)</b> | <b>(18,595,986)</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                           | <b>2,875,435</b>    | <b>3,392,041</b>    |

შპს „იბოლია“  
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

**\*\*რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**

|                                    | 2024              | 2023              |
|------------------------------------|-------------------|-------------------|
| მასალების ხარჯი                    | 7,385,157         | 9,635,244         |
| ქვეკონტრაქტორების ხარჯი            | 433,196           | 2,767,724         |
| პირდაპირი ხელფასები                | 3,746,155         | 2,711,314         |
| გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება | 870,361           | 1,392,962         |
| პირდაპირი ცვეთის ხარჯი             | 1,064,698         | 1,190,817         |
| პირდაპირი იჯარის ხარჯი             | 185,514           | 299,046           |
| კომუნალური ხარჯი                   | 141,554           | 203,806           |
| მივლინების ხარჯი                   | 110,904           | 144,224           |
| შეკეთების ხარჯი                    | 22,421            | 90,036            |
| სხვა მცირეფასიანი ხარჯები          | 123,748           | 160,813           |
| <b>სულ</b>                         | <b>14,083,708</b> | <b>18,595,986</b> |

\* პირდაპირი ამორტიზაცია მოიცავს ძირითადი საშუალებების ამორტიზაციის ხარჯს 1,018,976 ლარის ოდენობით, ხოლო არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი შეადგენს 45,722 ლარს (2023: 1,160,100 ლარი და 30,716 ლარი).

პროექტების ანალიზი 2024 წლისათვის ნაჩვენებია ქვემოთ:

|                                                                | მშენებლობა        | მომსახურება      | სულ               |
|----------------------------------------------------------------|-------------------|------------------|-------------------|
| <b>შემოსავალი</b>                                              |                   |                  |                   |
| სამშენებლო კონტრაქტებიდან დღემდე აღიარებული შემოსავალი         | 12,667,109        | 4,703,973        | 17,371,082        |
| საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული შემოსავალი                 | 1,722,452         | -                | 1,722,452         |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავალი</b> | <b>10,944,657</b> | <b>4,703,973</b> | <b>15,648,630</b> |
| <b>ხარჯები</b>                                                 |                   |                  |                   |
| სამშენებლო კონტრაქტებიდან დღემდე აღიარებული ხარჯები            | 11,629,238        | 3,038,184        | 14,667,422        |
| შემცირებული: საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული               | 1,454,075         | -                | 1,454,075         |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაწეული ხარჯები</b>     | <b>10,175,163</b> | <b>3,038,184</b> | <b>13,213,347</b> |
| სამშენებლო კონტრაქტებიდან დღემდე აღიარებული ხარჯები            | 11,629,238        | 3,038,184        | 14,667,422        |
| <b>საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული მოგება</b>              | <b>1,037,871</b>  | <b>1,665,789</b> | <b>2,703,660</b>  |
| <b>საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული მოგება</b>                | <b>769,494</b>    | <b>1,665,789</b> | <b>2,435,283</b>  |
| სამშენებლო კონტრაქტებიდან დღემდე აღიარებული შემოსავალი         | 12,667,109        | 4,703,973        | 17,371,082        |
| შემცირება: მიღებული ფულადი გადახდები                           | (11,317,538)      | (4,703,972)      | (16,021,510)      |
| დღგ-ს განაკვეთი                                                | 18%               | 18%              | 18%               |
| საკონტრაქტო მოთხოვნები                                         | 1,349,570         | -                | 1,349,570         |
| საკონტრაქტო ვალდებულებები                                      | -                 | -                | -                 |
| პროექტი დასრულების სტადია                                      | 80%               | 100%             |                   |

პროექტების ანალიზი 2023 წლისათვის ნაჩვენებია ქვემოთ:

|                                                        | მშენებლობა | მომსახურება | სულ        |
|--------------------------------------------------------|------------|-------------|------------|
| <b>შემოსავალი</b>                                      |            |             |            |
| სამშენებლო კონტრაქტებიდან დღემდე აღიარებული შემოსავალი | 24,111,661 | 4,202,382   | 28,314,043 |

შპს „იბოლია“  
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

|                                                                |                   |                  |                   |
|----------------------------------------------------------------|-------------------|------------------|-------------------|
| საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული შემოსავალი                 | 8,236,887         | -                | 8,236,887         |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავალი</b> | <b>15,874,774</b> | <b>4,202,382</b> | <b>20,077,156</b> |

|                                                            |                   |                  |                   |
|------------------------------------------------------------|-------------------|------------------|-------------------|
| <i>ხარჯები</i>                                             |                   |                  |                   |
| სამშენებლო კონტრაქტებიდან დღემდე აღიარებული ხარჯები        | 23,379,372        | 3,480,197        | 26,859,569        |
| შემცირებული: საანგარიშგებო პერიოდამდე აღიარებული           | 9,656,544         | -                | 9,656,544         |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაწეული ხარჯები</b> | <b>13,722,828</b> | <b>3,480,197</b> | <b>17,203,025</b> |

|                                                        |                  |                |                  |
|--------------------------------------------------------|------------------|----------------|------------------|
| სამშენებლო კონტრაქტებიდან დღემდე აღიარებული ხარჯები    | 23,379,372       | 3,480,197      | 26,859,569       |
| <b>2023 წლამდე აღიარებული მოგება/(ზარალი)</b>          | <b>732,289</b>   | <b>722,185</b> | <b>1,454,474</b> |
| <b>2023 წლისთვის აღიარებული მოგება/(ზარალი)</b>        | <b>2,151,946</b> | <b>722,185</b> | <b>2,874,131</b> |
| სამშენებლო კონტრაქტებიდან დღემდე აღიარებული შემოსავალი | 24,111,661       | 4,202,382      | 28,314,043       |
| შემცირება: მიღებული ფულადი გადახდები                   | (22,647,771)     | (4,202,382)    | (26,850,153)     |
| დღგ-ს განაკვეთი                                        | 18%              | 18%            | 18%              |
| საკონტრაქტო მოთხოვნები                                 | 1,463,890        | -              | 1,463,890        |
| საკონტრაქტო ვალდებულებები                              | -                | -              | -                |
| პროექტი დასრულების სტადია                              | 91%              | 100%           |                  |

## 6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                           | 2024             | 2023             |
|-------------------------------------------|------------------|------------------|
| თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი | 1,788,459        | 1,454,499        |
| გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა  | 96,118           | 94,427           |
| ცვთის არაპირდაპირი ხარჯი                  | 91,871           | 73,740           |
| საბანკო გარანტიის საკომისიო ხარჯი         | 30,934           | 67,165           |
| საიჯარო ხარჯი                             | -                | 44,000           |
| მივლინების ხარჯი                          | 27,726           | 36,056           |
| კომუნალური ხარჯი                          | 58,821           | 31,383           |
| ბანკის საკომისიო ხარჯი                    | 10,204           | 15,286           |
| საკონსულტაციო და სხვა მომსახურება         | 60,658           | 13,200           |
| დაზღვევის ხარჯი                           |                  | 1,400            |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები              | 36,959           | 76,262           |
| <b>სულ</b>                                | <b>2,201,750</b> | <b>1,907,418</b> |

## 7. ფინანსური ხარჯები

|                              | 2024             | 2023             |
|------------------------------|------------------|------------------|
| სესხის საპროცენტო ხარჯი      | (484,074)        | (503,349)        |
| ფაქტორინგის საკომისიოს ხარჯი | (7,320)          | -                |
| <b>სულ</b>                   | <b>(491,394)</b> | <b>(503,349)</b> |

## 8. არასაოპერაციო შემოსავლები / (ხარჯები)

|                           | 2024         | 2023          |
|---------------------------|--------------|---------------|
| არასაოპერაციო შემოსავლები | 73,955       | 101,258       |
| არასაოპერაციო ხარჯები     | (68,039)     | (22,686)      |
| <b>სულ</b>                | <b>5,916</b> | <b>78,572</b> |

შპს „იბოლია“  
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

არასაოპერაციო შემოსავლები 2024 წელს 1,518 (2023: 8,195 ლარი), ასევე სადაზღვევო კომპანიის მიერ ანაზღაურებული თანხები 34,283 ლარი (2023: 10,530 ლარი)

არასაოპერაციო ხარჯებში შედის ძირითადი და არამატერიალური აქტივების ჩამოწერა 1,513 და 42,013 ლარის ოდენობით (2023: 1,119 ლარი) და გადახდილი ჯარიმები.

## 9. მოგების გადასახადი

2024 და 2023 წელს კომპანიას არ ჰქონია მოგების გადასახადი რადგან დივიდენდები არ განაწილებულა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიები არ აღიარებენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას დროებით სხვაობებზე, რომელიც წარმოადგენს, აქტივებსა და ვალდებულებებში, საგადასახადო ბალანსების სამართლიან ღირებულებასა და საგადასახადო ბაზის ღირებულებას შორის სხვაობას.

შპს „იბოლია“

ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

## 10. ძირითადი საშუალებები

|                                            | მიწის<br>ნაკვეთები | შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ                 |
|--------------------------------------------|--------------------|-----------------------|-------------------------|-----------------------|-----------------------------|---------------------|
| თვითღირებულება                             |                    |                       |                         |                       |                             |                     |
| <b>2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით</b>   | <b>60,730</b>      | <b>913,739</b>        | <b>10,810,363</b>       | <b>80,462</b>         | <b>5,091,702</b>            | <b>16,956,996</b>   |
| შეძენა                                     | -                  | -                     | 116,959                 | 18,984                | 303,234                     | 439,177             |
| მარაგებიდან გადმოტანა                      | -                  | -                     | 57,313                  | -                     | 41,815                      | 99,128              |
| რეკლასი                                    | -                  | -                     | (165,910)               | -                     | 165,910                     | -                   |
| მარაგებზე გადატანა                         | -                  | -                     | -                       | -                     | (1,085)                     | (1,085)             |
| გაყიდვა                                    | -                  | -                     | (104,882)               | (7,087)               | (42,282)                    | (154,251)           |
| ჩამოწერა                                   | -                  | -                     | -                       | -                     | (19,911)                    | (19,911)            |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>60,730</b>      | <b>913,739</b>        | <b>10,713,844</b>       | <b>92,359</b>         | <b>5,539,381</b>            | <b>17,320,054</b>   |
| შეძენა                                     | -                  | -                     | 138,500                 | 15,842                | 312,721                     | 467,063             |
| მარაგებიდან გადმოტანა                      | -                  | 35,102                | 251,217                 | 767                   | 9,662                       | 296,748             |
| მარაგებზე გადატანა                         | -                  | -                     | (23,682)                | (768)                 | -                           | (24,450)            |
| გაყიდვა                                    | -                  | -                     | -                       | -                     | (57,747)                    | (57,747)            |
| ჩამოწერა                                   | -                  | -                     | (15,221)                | (6,869)               | -                           | (22,090)            |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>60,730</b>      | <b>948,841</b>        | <b>11,064,658</b>       | <b>101,331</b>        | <b>5,804,017</b>            | <b>17,979,578</b>   |
| ცვეთა და გაუფასურება                       |                    |                       |                         |                       |                             |                     |
| <b>2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით</b>   | -                  | <b>(369,122)</b>      | <b>(7,357,008)</b>      | <b>(51,570)</b>       | <b>(3,365,006)</b>          | <b>(11,142,706)</b> |
| ცვეთა წლის განმავლობაში                    | -                  | (25,394)              | (878,842)               | (7,351)               | (322,254)                   | (1,233,841)         |
| გაყიდვის შედეგად ელიმინირებული ცვეთა       | -                  | -                     | 63,759                  | 5,437                 | 32,280                      | 101,476             |
| ჩამოწერილი ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა       | -                  | -                     | -                       | -                     | 18,792                      | 18,792              |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | -                  | <b>(394,516)</b>      | <b>(8,172,090)</b>      | <b>(53,485)</b>       | <b>(3,636,188)</b>          | <b>(12,256,279)</b> |
| ცვეთა წლის განმავლობაში                    | -                  | (24,445)              | (751,008)               | (8,528)               | (326,866)                   | (1,110,847)         |
| გაყიდვის შედეგად ელიმინირებული ცვეთა       | -                  | -                     | -                       | -                     | 40,383                      | 40,383              |
| ჩამოწერილი ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა       | -                  | -                     | 14,779                  | 5,798                 | -                           | 20,577              |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | -                  | <b>(418,961)</b>      | <b>(8,908,319)</b>      | <b>(56,215)</b>       | <b>(3,922,671)</b>          | <b>(13,306,166)</b> |
| <b>2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით</b>   | <b>60,730</b>      | <b>544,617</b>        | <b>3,453,355</b>        | <b>28,892</b>         | <b>1,726,696</b>            | <b>5,814,290</b>    |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>60,730</b>      | <b>519,223</b>        | <b>2,541,753</b>        | <b>38,874</b>         | <b>1,903,193</b>            | <b>5,063,775</b>    |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>60,730</b>      | <b>529,880</b>        | <b>2,156,338</b>        | <b>45,116</b>         | <b>1,881,346</b>            | <b>4,673,412</b>    |

შპს „იბოლია“  
 ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

კომპანიას არ გააჩნია სრულად ამორტიზებული ძირითადი საშუალებები. სს „თიბისი“ ბანკთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, კომპანიას დაგირავებული ჰქონდა მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი საბალანსო ღირებულება შეადგენდა: 3,152,065 ლარი 452,187 ლარი. (2023: 3,008,546 ლარი და 807,718 ლარი.)

2024 წლის ცვეთის ხარჯმა შეადგინა 1,018,977 ლარი, საიდანაც 91,870 ლარი წარმოადგენს ზოგადი და ადმინისტრაციულ ხარჯების ნაწილს, ხოლო დანარჩენი რეალიზაციის თვითღირებულების.

2023 წლის ცვეთის ხარჯმა შეადგინა 1,160,100 ლარი, საიდანაც 73,740 ლარი წარმოადგენს ზოგადი და ადმინისტრაციულ ხარჯების ნაწილს, ხოლო დანარჩენი რეალიზაციის თვითღირებულების.

### 11. არამატერიალური აქტივები

| თვითღირებულება                             | ლიცენზიები       | სულ              |
|--------------------------------------------|------------------|------------------|
| <b>2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით</b>   | <b>210,570</b>   | <b>210,570</b>   |
| შეძენა                                     | -                | -                |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>210,570</b>   | <b>210,570</b>   |
| შეძენა                                     | 226,695          | 226,695          |
| ჩამოწერა                                   | (151,330)        | (151,330)        |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>285,935</b>   | <b>285,935</b>   |
| <b>2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით</b>   | <b>(172,393)</b> | <b>(172,393)</b> |
| ამორტიზაცია                                | (30,716)         | (30,109)         |
| ჩამოწერილი აქტივის ამორტიზაცია             | -                | -                |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>(203,109)</b> | <b>(203,109)</b> |
| ამორტიზაცია                                | (45,722)         | (45,722)         |
| ჩამოწერილი აქტივის ამორტიზაცია             | 109,318          | 109,318          |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>(139,513)</b> | <b>(139,513)</b> |
| <b>2023 წლის 01 იანვრის მდგომარეობით</b>   | <b>38,177</b>    | <b>38,177</b>    |
| <b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>7,461</b>     | <b>7,461</b>     |
| <b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>146,422</b>   | <b>146,422</b>   |

კომპანიის ბალანსზე არსებული ლიცენზიები წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების (დორღი, ქვიშა და ა.შ.) მოპოვების უფლებებს ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული ვადით. მთლიანი ამორტიზაციის ხარჯი მიეკუთნა პროექტების თვითღირებულებას.

### 12. მარაგები

|                            | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|----------------------------|--------------------|--------------------|
| სათადარიგო ნაწილები        | 406,373            | 453,228            |
| ნედლეული                   | 225,338            | 285,614            |
| საწვავი და საპოხი მასალები | 79,566             | 82,768             |
| სხვა მარაგები              | 41,605             | 45,680             |
| <b>სულ</b>                 | <b>752,882</b>     | <b>867,290</b>     |

მარაგები შეიცავს უშუალოდ იმ მასალებს რომლებიც გამოიყენება სამშენებლო პროექტებისთვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი მარაგებისა და უმოძრაო მარაგებზე შექმნილი რეზერვის დეტალური ცხრილი წარმოდგენილია ქვემოთ:

შპს „იბოლია“  
 ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

|                            | 31 დეკემბერი, 2024<br>მთლიანი | უმოდრაო<br>მარაგების<br>რეზერვი | 31 დეკემბერი, 2024<br>წმინდა |
|----------------------------|-------------------------------|---------------------------------|------------------------------|
| სათადარიგო ნაწილები        | 533,697                       | (127,323)                       | 406,374                      |
| ნედლეული                   | 266,783                       | (41,445)                        | 225,337                      |
| საწვავი და საპოხი მასალები | 79,566                        | -                               | 79,565                       |
| სხვა მარაგები              | 60,034                        | (18,429)                        | 41,604                       |
| <b>სულ</b>                 | <b>940,080</b>                | <b>(187,197)</b>                | <b>752,882</b>               |

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი მარაგებისა და უმოდრაო მარაგებზე შექმნილი რეზერვის დეტალური ცხრილი წარმოდგენილია ქვემოთ:

|                            | 31 დეკემბერი, 2023<br>მთლიანი | უმოდრაო<br>მარაგების<br>რეზერვი | 31 დეკემბერი, 2023<br>წმინდა |
|----------------------------|-------------------------------|---------------------------------|------------------------------|
| სათადარიგო ნაწილები        | 553,564                       | (100,335)                       | 453,228                      |
| ნედლეული                   | 361,196                       | (75,582)                        | 285,614                      |
| საწვავი და საპოხი მასალები | 82,768                        | -                               | 82,768                       |
| სხვა მარაგები              | 58,871                        | (13,191)                        | 45,680                       |
| <b>სულ</b>                 | <b>1,056,399</b>              | <b>(189,108)</b>                | <b>867,290</b>               |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უმოდრაო ინვენტარის რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ

|                                  |                |
|----------------------------------|----------------|
| <b>ნაშთი 1 იანვარი 2023 წელი</b> | <b>172,848</b> |
| დამატება                         | 33,195         |
| ჩამოწერა/გაყიდვა                 | (16,935)       |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2023</b>   | <b>189,108</b> |
| დამატება                         | 62,333         |
| ჩამოწერა/გაყიდვა                 | (64,244)       |
| <b>ნაშთი 31 დეკემბერი 2024</b>   | <b>187,197</b> |

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                             | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|---------------------------------------------|--------------------|--------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                          | 4,754,375          | 4,318,992          |
| მოთხოვნები კონტრაქტებიდან და მომსახურებიდან | 1,349,570          | 1,463,890          |
| გადახდილი ავანსები                          | 748,322            | 68,572             |
| საექვო მოთხოვნების რეზერვი                  | (3,669,392)        | (3,592,163)        |
| <b>სულ</b>                                  | <b>3,182,875</b>   | <b>2,259,291</b>   |

გადახდილი ავანსები ძირითადად მოიცავს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილ თანხებს. კომპანია ძირითადი საშუალებების მიღებას 1 წლის განმავლობაში გეგმავს.

|                                                  | საექვო მოთხოვნების<br>რეზერვი |
|--------------------------------------------------|-------------------------------|
| <b>ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>2,920,049</b>              |
| საექვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი                | 672,114                       |
| საექვო მოთხოვნების რეზერვის შემცირება            | -                             |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>3,592,163</b>              |
| სააქვო მოთხოვნების რეზერვის ხარჯი                | 77,229                        |
| სააქვო მოთხოვნების რეზერვის შემცირება            | -                             |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>3,669,392</b>              |

შპს „იბოლია“  
 ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები სააღრიცხვო შეფასების ცვლილებების შემდეგ, ვადაგადაცილების დღეების მიხედვით, წარმოდგენილია ქვემოთ:

| ვადაგადაცილების დღეები           | < 30             | 31-90         | 91-180        | >181             | სულ              |
|----------------------------------|------------------|---------------|---------------|------------------|------------------|
| რეზერვის პროცენტი                | 0%               | 5%            | 25%           | 100%             | -                |
| <b>სავაჭრო მოთხოვნები</b>        | <b>1,692,370</b> | <b>92,604</b> | <b>70,615</b> | <b>3,647,108</b> | <b>5,502,697</b> |
| შექმნილი რეზერვი                 | -                | (4,630)       | (17,654)      | (3,647,108)      | (3,669,392)      |
| <b>წმინდა სავაჭრო მოთხოვნები</b> | <b>1,692,370</b> | <b>87,974</b> | <b>52,961</b> | <b>-</b>         | <b>1,833,305</b> |

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები სააღრიცხვო შეფასების ცვლილებებამდე, ვადაგადაცილების დღეების მიხედვით, წარმოდგენილია ქვემოთ:

| ვადაგადაცილების დღეები           | < 30          | 31-90          | 91-180         | >181             | სულ              |
|----------------------------------|---------------|----------------|----------------|------------------|------------------|
| რეზერვის პროცენტი                | 0%            | 5%             | 25%            | 100%             | -                |
| <b>სავაჭრო მოთხოვნები</b>        | <b>40,113</b> | <b>272,966</b> | <b>661,293</b> | <b>3,413,192</b> | <b>4,387,564</b> |
| შექმნილი რეზერვი                 | -             | (13,648)       | (165,323)      | (3,413,192)      | (3,592,163)      |
| <b>წმინდა სავაჭრო მოთხოვნები</b> | <b>40,113</b> | <b>259,318</b> | <b>495,970</b> | <b>-</b>         | <b>795,401</b>   |

#### 14. ფული და ფულის ეკვივალენტები

31 დეკემბერი 2024      31 დეკემბერი, 2023

|               |                |                |
|---------------|----------------|----------------|
| ფული სალაროში | 5              | 2              |
| ფული ბანკში   | 262,253        | 118,494        |
| <b>სულ</b>    | <b>262,258</b> | <b>118,496</b> |

ნაღდი ფული ბანკში წარმოადგენს საქართველოს კომერციულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ სახსრებს.

#### 15. საწესდებო კაპიტალი

საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა ცვლილებები სადამფუძნებლო კაპიტალში, აღნიშნული კაპიტალი განსაზღვრულია დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით და შევსებულია მფობელთა შენატანებით.

|                          |                  |
|--------------------------|------------------|
| <b>1 იანვარი 2023</b>    | <b>3,207,750</b> |
| ზრდა                     | 499,900          |
| შემცირება                | -                |
| <b>31 დეკემბერი 2023</b> | <b>3,707,650</b> |
| ზრდა                     | -                |
| შემცირება                | -                |
| <b>31 დეკემბერი 2024</b> | <b>3,707,650</b> |

#### 16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

31 დეკემბერი, 2024      31 დეკემბერი, 2023

|                       |                  |                  |
|-----------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 2,716,413        | 3,064,465        |
| გადასახდელი ხელფასები | 298,596          | 221,707          |
| მიღებული ავანსები     | 107,537          | 215,250          |
| <b>სულ</b>            | <b>3,122,546</b> | <b>3,501,422</b> |

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს მიმწოდებლების მიმართ სამშენებლო პროექტებისთვის გაწეული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

შპს „იბოლია“  
ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

17. მიღებული სესხები

კომპანიის მიერ მიღებული სესხები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კომპანიის მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში

| აღწერა                  | დაწყების<br>თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | პროცენტი | ვალუტა | ძირის და<br>პროცენტის<br>გადახდა | მიმდინარე | გრძელვადიანი | სულ       |
|-------------------------|--------------------|--------------------|----------|--------|----------------------------------|-----------|--------------|-----------|
| სს „თიბისი ბანკი“       | 22-11-24           | 20-11-29           | 15%      | GEL    | ყოველთვიური                      | 171,602   | 1,129,570    | 1,301,172 |
| სს „თიბისი ბანკი“       | 24-07-24           | 20-07-27           | 15%      | GEL    | ყოველთვიური                      | 213,504   | 405,134      | 618,638   |
| სს „თიბისი ბანკი“       | 30-09-24           | 20-09-29           | 15%      | GEL    | ყოველთვიური                      | 24,761    | 128,952      | 153,713   |
| სს „თიბისი ბანკი“       | 12-04-23           | 25-12-28           | 15%      | GEL    | ყოველთვიური                      | 84,460    | 173,109      | 257,569   |
| სს „თიბისი ბანკი“       | 27-12-24           | 23-12-25           | 16%      | GEL    | ყოველთვიური                      | 1,200,000 | -            | 1,200,000 |
| სს „თიბისი ბანკი“       | 03-03-24           | 03-02-25           | 17%      | GEL    | ყოველთვიური                      | 125,819   | -            | 125,819   |
| ფიზიკური პირი           | 23-01-23           | 31-12-25           | 11%      | GEL    | ვადის ბოლოს                      | 15,466    | -            | 15,466    |
| სულ ძირი                |                    |                    |          |        |                                  | 1,835,612 | 1,836,765    | 3,672,377 |
| გადასახდელი<br>პროცენტი |                    |                    |          |        |                                  | 9,422     | -            | 9,422     |
| სულ სესხები             |                    |                    |          |        |                                  | 1,845,034 | 1,836,765    | 3,681,799 |

ბალანსის ბრუნვა წარმოდგენილია ქვემოთ:

| აღწერა            | ბალანსი     |
|-------------------|-------------|
| 31 დეკემბერი 2023 | 2,968,016   |
| შეძენა            | 5,827,156   |
| გადახდა           | (5,122,795) |
| 31 დეკემბერი 2024 | 3,672,377   |

პროცენტის ბრუნვა მოცემულია ქვემოთ:

| აღწერა            | ბალანსი   |
|-------------------|-----------|
| 31 დეკემბერი 2023 | 43,066    |
| შეძენა            | 484,074   |
| გადახდა           | (517,718) |
| 31 დეკემბერი 2024 | 9,422     |

კომპანიის მიერ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილებში

| აღწერა            | დაწყების<br>თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | პროცენტი                                          | ვალუტა | ძირის და<br>პროცენტის<br>გადახდა | მიმდინარე | გრძელვადიანი | სულ     |
|-------------------|--------------------|--------------------|---------------------------------------------------|--------|----------------------------------|-----------|--------------|---------|
|                   |                    |                    | 5%+N<br>BG<br>Refin<br>ance<br>Rate<br>15.16<br>% |        |                                  |           |              |         |
| სს „თიბისი ბანკი“ | 17-09-19           | 05-09-24           |                                                   | GEL    | ყოველთვიური                      | 732,667   | -            | 732,667 |
| სს „თიბისი ბანკი“ | 04-12-23           | 25-12-28           |                                                   | GEL    | ყოველთვიური                      | 42,430    | 257,570      | 300,000 |

შპს „იბოლია“  
 ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

|                             |          |          |         |     |             |                  |                |                  |
|-----------------------------|----------|----------|---------|-----|-------------|------------------|----------------|------------------|
| სს „თიბისი ბანკი“           | 11-08-23 | 20-04-24 | 13.50 % | GEL | ყოველთვიური | 1,200,000        | -              | 1,200,000        |
| სს „თიბისი ბანკი“           | 14-08-23 | 20-04-24 | 15.45 % | GEL | ყოველთვიური | 307,402          | -              | 307,402          |
| სს „თიბისი ბანკი“           | 10-11-23 | 20-01-24 | 22.26 % | GEL | ყოველთვიური | 300,000          | -              | 300,000          |
| სს „თიბისი ბანკი“           | 23-01-23 | 31-12-24 | 11.00 % | GEL | ვადის ბოლოს | 84,881           | -              | 84,881           |
| <b>სულ ძირი</b>             |          |          |         |     |             | <b>2,667,380</b> | <b>257,570</b> | <b>2,924,950</b> |
| <b>გადასახდელი პროცენტი</b> |          |          |         |     |             | 43,066           | -              | 43,066           |
| <b>სულ სესხები</b>          |          |          |         |     |             | <b>2,710,446</b> | <b>257,570</b> | <b>2,968,016</b> |

ბალანსის ბრუნვა წარმოდგენილია ქვემოთ:

|                          |                  |
|--------------------------|------------------|
| <b>აღწერა</b>            | <b>ბალანსი</b>   |
| <b>31 დეკემბერი 2022</b> | <b>3,406,591</b> |
| შეძენა                   | 6,486,584        |
| გადახდა                  | 6,925,158        |
| <b>31 დეკემბერი 2023</b> | <b>2,968,016</b> |

პროცენტის ბრუნვა მოცემულია ქვემოთ:

|                                 |                |
|---------------------------------|----------------|
| <b>აღწერა</b>                   | <b>ბალანსი</b> |
| <b>31 დეკემბერი 2022</b>        | <b>4,365</b>   |
| პერიოდის განმავლობაში დაგროვილი | 503,349        |
| გადახდა                         | (464,648)      |
| <b>31 დეკემბერი 2023</b>        | <b>43,066</b>  |

ნომინალურ და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის.

საპროცენტო ხარჯების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 6.

უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 9.

### 18. პირობითი ვალდებულებები

#### საბანკო გარანტიები

სატენდერო და მიმდინარე სამშენებლო კონტრაქტებისგან წარმოშობილი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ აღებული საბანკო გარანტიების ჯამური თანხა შეადგენდა 349,776 ლარს (2023: 49,444 GEL).

#### სამშენებლო კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 5 (ხუთი) მიმდინარე პროექტი, დასრულების შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით: 60%, 81%, 32%, 77% და 46%. ყველა კონტრაქტი დასრულებულია 2025 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის. აღნიშნული 5 (ხუთი) სამშენებლო კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებები შესრულების სავარაუდო ხარჯი შეადგენს 3,007,197 ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 5 (ხუთი) მიმდინარე პროექტი, შესრულებული პროცენტობით: 19%, 49%, 88%, 83% და 9%. 2024 წლის ბოლოს ყველა პროექტი დასრულებულია. ამ 5 (ხუთი) სამშენებლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელი ხარჯი შეადგენს 2,751,033 ლარს.

19. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან
- (II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;
- (IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელებს წარმოადგენდნენ:

|                                       | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|---------------------------------------|-------------------|-------------------|
| ფ/პ იოსებ მაკრახიძე პ/ნ 59001005148   | 4%                | 4%                |
| ფ/პ გოდერძი მიქავა პ/ნ 59001019086    | 13%               | 13%               |
| ფ/პ ოფელია მაკრახიძე პ/ნ 59001000635  | 15%               | 15%               |
| ფ/პ მარიანა მაკრახიძე პ/ნ 59001004393 | 15%               | 15%               |
| ფ/პ პაატა მიქავა პ/ნ 59001012236      | 5%                | 5%                |
| ფ/პ ელისო მიქავა პ/ნ 59001004079      | 5%                | 5%                |
| ფ/პ თამარ მიქავა პ/ნ 59001014441      | 5%                | 5%                |
| ფ/პ ნინო მიქავა პ/ნ 59001014440       | 5%                | 5%                |

შპს „იბოლია“  
 ფინანსური ანგარიშგება განმარტებითი შენიშვნები  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

|                                      |     |     |
|--------------------------------------|-----|-----|
| ფ/პ მალვა კბილაშვილი პ/ნ 01002009494 | 10% | 10% |
| ფ/პ ზვიად ჩხობაძე პ/ნ 01004005023    | 10% | 10% |
| ფ/პ ზაური ქორთოშიძე პ/ნ 01028001525  | 13% | 13% |

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები 2024 და 2023 წლების მდგომარეობით:

|                                      | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|--------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>    |                    |                    |
| საქონლის რეალიზაცია                  | 26,125             | 10,782             |
| <b>სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> |                    |                    |
| საიჯარო ხარჯი                        | 27,480             | 27,480             |
| <b>სესხები</b>                       |                    |                    |
| დირექტორი                            | 24,774             | 122,671            |

|                                                                                       |             |             |
|---------------------------------------------------------------------------------------|-------------|-------------|
| ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები |             |             |
|                                                                                       | <b>2024</b> | <b>2023</b> |
| <b>შემოსავალი</b>                                                                     |             |             |
| საქონლის რეალიზაცია                                                                   | 2,194       | 9,442       |
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები</b>     |             |             |
| საიჯარო ხარჯი                                                                         | -           | 17,600      |

|                                                                             |             |             |
|-----------------------------------------------------------------------------|-------------|-------------|
| ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება: |             |             |
|                                                                             | <b>2024</b> | <b>2023</b> |
| ხელფასები და დანამატები                                                     | 141,000     | 250,930     |

20. ფინანსური რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით,

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან,

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით,
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით, ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი;

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

|                                    | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                    |                    |
| ფული და ფულის ექვივალენტები        | 262,258            | 118,496            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 2,434,553          | 2,259,291          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>2,696,811</b>   | <b>2,377,787</b>   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 3,015,009          | 3,501,422          |
| საგადასახადო ვალდებულებები         | 639,141            | 385,400            |
| სესხები                            | 3,681,799          | 2,968,016          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>7,335,949</b>   | <b>6,854,838</b>   |

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის, რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად, რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად, კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

|                               | 31 დეკემბერი, 2024 | 31 დეკემბერი, 2023 |
|-------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>     |                    |                    |
| ფული და ფულის ექვივალენტები   | 262,258            | 118,496            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები    | 2,434,553          | 2,259,291          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b> | <b>2,696,811</b>   | <b>2,377,787</b>   |

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

კომპანია იყენებს შემდეგ მატრიცას საეჭვო მოთხოვნების რეზერვის განსაზღვრისთვის:

| ვადაგადაცილების დღეები | < 30 | 31-90 | 91-180 | >181 |
|------------------------|------|-------|--------|------|
|------------------------|------|-------|--------|------|

ვადაგადაცილების პროცენტულობა 0% 5% 25% 100%

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება, ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას, ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                        | 1 წელზე<br>ნაკლები | 1 დან 5<br>წლამდე  | 5 და მეტი<br>ვადით | სულ                |
|----------------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>              |                    |                    |                    |                    |
| ფული და ფულის ექვივალენტები            | 262,258            | -                  | -                  | 262,258            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები             | 2,434,553          | -                  | -                  | 2,434,553          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>          | <b>2,696,811</b>   | <b>-</b>           | <b>-</b>           | <b>2,696,811</b>   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>         |                    |                    |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები          | 3,015,009          | -                  | -                  | 3,015,009          |
| საგადასახადო ვალდებულებები             | 639,141            | -                  | -                  | 639,141            |
| სესხები                                | 1,845,034          | 1,836,765          | -                  | 3,681,799          |
| <b>სულ ფინანსური<br/>ვალდებულებები</b> | <b>5,499,184</b>   | <b>1,836,765</b>   | <b>-</b>           | <b>6,854,838</b>   |
| <b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>            | <b>(2,802,373)</b> | <b>(1,836,765)</b> | <b>-</b>           | <b>(4,639,138)</b> |

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                         | 1 წელზე<br>ნაკლები | 1 დან 5<br>წლამდე | 5 და მეტი<br>ვადით | სულ                |
|-----------------------------------------|--------------------|-------------------|--------------------|--------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>               |                    |                   |                    |                    |
| ფული და ფულის ექვივალენტები             | 118,496            | -                 | -                  | 118,496            |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              | 2,259,291          | -                 | -                  | 2,259,291          |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>           | <b>2,377,787</b>   | <b>-</b>          | <b>-</b>           | <b>2,377,787</b>   |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>          |                    |                   |                    |                    |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები           | 3,501,422          | -                 | -                  | 3,501,422          |
| მოკლევადიანი ფინანსური<br>ვალდებულებები | -                  | -                 | -                  | -                  |
| საგადასახადო ვალდებულებები              | 385,400            | -                 | -                  | 385,400            |
| სესხები                                 | 2,710,446          | 257,570           | -                  | 2,968,016          |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>      | <b>6,597,268</b>   | <b>257,570</b>    | <b>-</b>           | <b>6,854,838</b>   |
| <b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>             | <b>(4,219,481)</b> | <b>(257,570)</b>  | <b>-</b>           | <b>(4,477,051)</b> |

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს უარყოფითი ლიკვიდურობის დეფიციტი.

მენეჯმენტი ინფორმირებულია ლიკვიდურობის ამ დეფიციტის შესახებ და აქტიურად ახორციელებს ზომებს, რათა უზრუნველყოს კომპანიის მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულების უნარი. ეს ზომები მოიცავს:

- მიმდინარე მოლაპარაკებებს კრედიტორებთან დაფარვის ვადების გახანგრძლივებისა და არსებული სესხების ნაწილის უფრო ხელსაყრელი პირობებით რეფინანსირების შესახებ;

- აქციონერების მხარდაჭერას, რომლებმაც დაადასტურეს ფინანსური დახმარების გაწევის განზრახვა, საჭიროების შემთხვევაში, ოპერაციული უწყვეტობის შესანარჩუნებლად;
- საბრუნავი კაპიტალის ოპტიმიზაციას, მათ შორის საოპერაციო ხარჯებზე უფრო მკაცრი კონტროლის გაწევას;
- ოპერაციული ფულადი ნაკადების შემოდინების დაგეგმილი ზრდა ახალი კონტრაქტების და ბიზნეს საქმიანობის გაფართოების გზით მომავალ პერიოდში.

ამ დაგეგმილი ქმედებებისა და მენეჯმენტის შეფასების საფუძველზე, კომპანია ვარაუდობს, რომ შეინარჩუნებს ადეკვატურ ლიკვიდურობას და გააგრძელებს საქმიანობას მნიშვნელოვანი შეფერხებების გარეშე.

#### **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე, საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

#### **საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). კომპანიის მიღებული სესხები სრულად არის ფიქსირებულ განაკვეთიანი, შესაბამისად, კომპანიის წინაშე არ დგას საპროცენტო განაკვეთების რისკი.

#### **21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები**

ამ განცხადების ხელმოწერის თარიღამდე მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა.

მმართველობის ანგარიშგება  
2024 საანგარიშო წლის საქმიანობის მიმოხილვა  
დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრებათა ერთაღ

შინაარსი

|                                                                                                                             |   |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---|
| <b>1. ზოგადი ინფორმაცია</b> .....                                                                                           | 3 |
| 1.1. კომპანიის შესახებ .....                                                                                                | 3 |
| 1.2. დარგის მიმოხილვა.....                                                                                                  | 4 |
| 1.3. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა .....                                                                                  | 4 |
| 1.4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ .....                                                                          | 5 |
| 1.5. ინფორმაცია კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების შესახებ .....                                                           | 5 |
| <b>2. საწარმოს განვითარების პერსპექტივები და რისკები</b> .....                                                              | 5 |
| 2.1. მომავალი პერიოდების აქტივობები.....                                                                                    | 5 |
| 2.2. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების<br>აღწერილობა.....                                    | 5 |
| 2.3. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა<br>კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა ..... | 7 |
| <b>3. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა</b> .....                                                                          | 7 |
| <b>4. სოციალური და დასაქმების საკითხები</b> .....                                                                           | 8 |

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან  
შესაბამისობაზე

შპს „იბოლია“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“) მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.


ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელებია რაიმე სახის მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

19 ნოემბერი, 2025.

არესემ საქართველოს სახელით  
(Reg. # SARAS-F-279563)

გარიგების პარტნიორი: ალი მურთუა  
(Reg. # SARAS-A-577214)

*RSM Georgia*  


## 1. ზოგადი ინფორმაცია

### 1.1. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იბოლია“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს.

შპს „იბოლია“-მ სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 1995 წლის 29 დეკემბერს გორის სასამართლოს მიერ, სარეგისტრაციო ნომერი 8/4-46, მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 217873031. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. გორი ცხინვალის გზატ. მე-3 კმ.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს მფლობელთა კომპოზიცია იყო შემდეგი:

ფ/პ იოსებ მაკრახიძე პ/ნ 59001005148 – 4%  
ფ/პ გოდერძი მიქავა პ/ნ 59001019086 – 13%  
ფ/პ ოფელია მაკრახიძე პ/ნ 59001000635 – 15%  
ფ/პ მარიანა მაკრახიძე პ/ნ 59001004393 – 15%  
ფ/პ შალვა კბილაშვილი პ/ნ 01002009494 – 10%  
ფ/პ ზვიად ჩხოზაძე პ/ნ 01004005023 – 10%  
ფ/პ ზაური ქორთოშიძე პ/ნ 01028001525 – 13%  
ფ/პ პაატა მიქავა პ/ნ 59001012236 – 5%  
ფ/პ ელისო მიქავა პ/ნ 59001004079 – 5%  
ფ/პ თამარ მიქავა პ/ნ 59001014441 – 5%  
ფ/პ ნინო მიქავა პ/ნ 59001014440 – 5%

2023 წლის განმავლობაში არ შეცვლილა საწარმოს მფლობელთა წილობრივი კომპოზიცია და ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის ის შემდეგნაირია:

ფ/პ იოსებ მაკრახიძე პ/ნ 59001005148 – 4%  
ფ/პ გოდერძი მიქავა პ/ნ 59001019086 – 13%  
ფ/პ ოფელია მაკრახიძე პ/ნ 59001000635 – 15%  
ფ/პ მარიანა მაკრახიძე პ/ნ 59001004393 – 15%  
ფ/პ შალვა კბილაშვილი პ/ნ 01002009494 – 10%  
ფ/პ ზვიად ჩხოზაძე პ/ნ 01004005023 – 10%  
ფ/პ ზაური ქორთოშიძე პ/ნ 01028001525 – 13%  
ფ/პ პაატა მიქავა პ/ნ 59001012236 – 5%  
ფ/პ ელისო მიქავა პ/ნ 59001004079 – 5%  
ფ/პ თამარ მიქავა პ/ნ 59001014441 – 5%  
ფ/პ ნინო მიქავა პ/ნ 59001014440 – 5%

საწარმოს საქმიანობის სახე: გზების და ავტობანების მშენებლობა  
საწარმოს საქმიანობის (NACE) კოდი: 42110

2024 წლის განმავლობაში არ შეცვლილა საწარმოს მფლობელთა წილობრივი კომპოზიცია და ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის ის შემდეგნაირია:

ფ/პ იოსებ მაკრახიძე პ/ნ 59001005148 – 4%  
ფ/პ გოდერძი მიქავა პ/ნ 59001019086 – 13%  
ფ/პ ოფელია მაკრახიძე პ/ნ 59001000635 – 15%  
ფ/პ მარიანა მაკრახიძე პ/ნ 59001004393 – 15%  
ფ/პ შალვა კბილაშვილი პ/ნ 01002009494 – 10%  
ფ/პ ზვიად ჩხოზაძე პ/ნ 01004005023 – 10%  
ფ/პ ზაური ქორთოშიძე პ/ნ 01028001525 – 13%  
ფ/პ პაატა მიქავა პ/ნ 59001012236 – 5%  
ფ/პ ელისო მიქავა პ/ნ 59001004079 – 5%  
ფ/პ თამარ მიქავა პ/ნ 59001014441 – 5%  
ფ/პ ნინო მიქავა პ/ნ 59001014440 – 5%

საწარმოს საქმიანობის სახე: გზების და ავტობანების მშენებლობა  
საწარმოს საქმიანობის (NACE) კოდი: 42110

## 1.2. დარგის მიმოხილვა

დარგის ეკონომიკური სიტუაცია მნიშვნელოვან ზრდას განიცდის. ამის ხელშემწყობი ფაქტორია ქვეყნის ხედვა, განავითაროს ინფრასტრუქტურა. წლიდან წლამდე იზრდება სახელმწიფოს მხრიდან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა. გამომდინარე აქედან, ბაზარი არის ძალიან დიდი. ტენდერში მონაწილეობა არის გართულებული, მაღალია კონკურენცია. ითხოვენ გარკვეულ პირობებს, რომლებიც არც ისე იოლია კომპანიისთვის. არის სპეციფიკური გამოცდილების მოთხოვნა.

კომპანია ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს მაშტაბით დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობა, ასევე კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს N 11 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოებს.

კომპანია არის ტენდერების თეთრ სიაში, რომელიც გულისხმობს კომპანიისთვის გარკვეულწილ შეღავათებს. კომპანია ბაზარზე ფუნქციონირებს 25 წელი, აქედან გამომდინარე კომპანიას დაუგროვდა დიდი გამოცდილება ამ სფეროში, განხორციელებული გვაქვს ძალიან ბევრი ქვეყნისთვის სასარგებლო პროექტები.

## 1.3. კომპანიის ფინანსური მდგომარეობა

კომპანიას გააჩნია მდგრადი ფინანსური მდგომარეობა. მტკიცე საგადამხდელო დისციპლინა. ფინანსური მდგრადობა დაკავშირებულია სხვადასხვა მაჩვენებლებთან:

საიმედო მონაცემებთან, რომელიც მნიშვნელოვანია მოხმარებისთვის და სარგებლიანი ინფორმაციისთვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგისათვის. ინფორმაციის კომპანიას ყოველთვის აქვს სრული, დროული, ზუსტი. კომპანიის

წინდახედული და სამართლიანი მიდგომებისა და შეფასებების ჩამოყალიბებით, ასევე ფინანსური რესურსების მიზნობრივი და ეფექტური გამოყენება კომპანიის მდგრადობის ხელშეწყობია. აღნიშნული ვლინდება სექტორის სხვა კომპანიებთან ურთიერთობის, მაკონტროლებელი ორგანოებისა და აუდიტის ანალიზის შედარებაზე დაყრდნობით.

#### 1.4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს

#### 1.5. ინფორმაცია კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების შესახებ

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში არ უწარმოებია კვლევები.

### 2. საწარმოს განვითარების პერსპექტივები და რისკები

#### 2.1. მომავალი პერიოდების აქტივობები

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება;
- ავტოპარკის განახლება;

საწარმომ 2019 წელს შეიძინა და ექსპლუატაციაში ჩაუშვა ახალი ასფალტ-ბეტონის ქარხანა;

საწარმომ 2024 წელს შეიძინა მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და ოფისის აღჭურვილობა.

#### 2.2. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

კომპანიის საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, წარმოადგენს: დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- ეკოლოგიური რისკები;
- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- კონკურენციის გაძლიერების რისკები;
- სამეურნეო ხელშეკრულებების შეუსრულებლობის რისკები;
- ტექნიკური რისკები.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები: ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

**ფინანსური რისკები:** თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

**ინფლაცია და სავალუტო რისკი:** კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში.

**საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები:** შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

**საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები:** საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირაცია.

**გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები:** გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე შპს „იბოლია“-ს მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა.

**სამართლებრივი რისკები:** სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

დარგობრივ რისკებთან ერთად საგულისხმოა ასევე მიმდინარე კორონავირუსის პანდემია, მისით გამოწვეული ეკონომიკური აქტივობის შენელება და მისი პოტენციური ეფექტები კომპანიის სამომავლო საქმიანობაზე.

კორონავირუსმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მრავალი ადამიანის სიცოცხლეს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გამოიწვია ლოჯისტიკური ჯაჭვებისა და როგორც შიდა, აგრეთვე საგარეო მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება, ამასთანავე ამ მოვლენამ გაზარდა სამომავლო რისკის განუზღვრელობის და მისი არიდების/შემცირების ტენდენციები. პანდემიასთან დაკავშირებული, არსებული, ადგილობრივი და გლობალური მოვლენების მიხედვით გავითვალისწინეთ სამომავლო რისკები ორგანიზაციისათვის.

კომპანიის საოპერაციო სფეროსა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კომპანიის საქმიანობის დიდ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო მნიშვნელოვნების სამშენებლო კონტრაქტები, მენეჯმენტის შეფასებით პანდემიის ფონზე კომპანიას არ შეექმნება ფუნქციონირებადობის პრობლემები და განაგრძობს ფუნქციონირებას.

## 2.3. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა - აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდში, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.“

უფლებები და ვალდებულებები - კომპანია უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვისას ასახულ პასივებზე, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

შეფასება და განაწილება - ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

სიზუსტე - ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

წარდგენა - ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია, გარდა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოსაზრებაში ასახული მოვლენებისა.

## 3. გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოს დაცვითი კანონმდებლობის შესახებ კომპანია ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას. საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;

- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;

- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ) დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

#### 4. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო

ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შპს "იბოლია" ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 19 ნოემბერს.

|                   |                    |                     |
|-------------------|--------------------|---------------------|
| გოდერძი<br>მიქავა | დავით გოდერძიშვილი | ცისანა გამხიტაშვილი |
| დირექტორი         | დირექტორი          | მთავარი ბუღალტერი   |

- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ) დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე.

#### 4. სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიდა განაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო

ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას. მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა. მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე. შპს "იბოლია" ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექტირების განხორციელებით.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 19 ნოემბერს.



გოდერძი  
მიქაძე

დირექტორი



იოსებ მაკრახიძე

დირექტორი



ცისანა გამხიტაშვილი

მთავარი ბუღალტერი